## 1. შეთანხმების საგანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების საგანს წარმოადგენს ბანკის მიერ კონტრაქტორ(ებ)თან კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება ამ შეთანხმებაში აღწერილი ზოგადი პირობების და წესების შესაბამისად;

1.2. ხელშეკრულების მიზნებისთვის მხარეებად განისაზღვრებიან სს "პროკრედიტბანკი", შემდგომში "ბანკი" (საიდენტიფიკაციო კოდი 204851197; მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #21) და კონტრაქტორი, რომლის დასახელება და კონკრეტული რეკვიზიტები განისაზღვრება მხარეთა შორის შემდგომში გასაფორმებელი/გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით;

1.3. კონტრაქტორი ვალდებულია, დეტალურად გაეცნოს სს "პროკრედიტბანკი"-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ProCreditBank.ge ტენდერების მენიუში, განთავსებულ წინამდებარე შეთანხმების ყველა პირობას და კონკრეტული ხელშეკრულების გაფორმებამდე წინასწარ წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეთანხმება შეთანხმების ზოგად პირობებს;

1.4. ბანკს უფლება აქვს ცვლილება/დამატება შეიტანოს წინამდებარე პირობებში. ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის საკმარისია იგი განთავსდეს ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.ProCreditBank.ge ტენდერების მენიუში, ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე ორი კვირით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებებს/დამატებებს, კონტრაქტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ბანკს ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილებები/დამატებები ჩაითვლება კონტრაქტორის მიერ მიღებულად.

## 2. საზღაური და ანაზღაურების წესი

2.1. მხარეთა შორის გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ქონების, საქონლის, მომსახურეობის ღირებულება მისი გადახდის წესი და დრო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

2.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო წესით.

## 3. გარანტია

3.1. ხელშეკრულების საგნის ვარგისიანობის ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

3.2. საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის ნაკლოვანების აღმოფხვრის, დაბალი ხარისხით შესრულებული ან წუნდებულად მიჩნეული მომსახურების გამოსწორების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

3.3. კონტრაქტორი ვალდებულია გამოასწოროს ან შეცვალოს ნაკლოვანი ნივთი, უზრუნველყოს დაბალი ხარისხით შესრულებული ან წუნდებულად მიჩნეული მომსახურების გამოსწორება თავისი ხარჯითა და მასალით. ნაკლოვანების აღმოფხვრის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

## 4. პირგასამტეხლო

4.1. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კონტრაქტორს დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრული იქნება მხარეთა შეთანხმებით;

4.2. შეთანხმებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში კონტრაქტორი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 5. კონფიდენციალურობის დაცვა

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ თანამშრომლობის პროცესში მათთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს საბანკო და კომერციული საიდუმლოების, ასევე პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ან/და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი (შემდგომში "ინფორმაცია") ზეპირად, წერილობით, გამოსახულებით, ან მედია საშუალებით. აქედან გამომდინარე ბანკი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

5.1.1. ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული (როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის/დასრულების შემდეგ) და არ გამჟღავნდება პირდაპირ, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე. ამასთან, არ მოხდება ინფორმაციის, მათ შორის, მხარის სახელწოდების/სახელის გამოყენება ან გამჟღავნება, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

5.1.2. ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება მხოლოდ ინფორმაციის მიმღების იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ასრულებენ მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს და რომელთაც ინფორმაციის მიმღები მხარის მიმართ აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ინფორმაციაზე წვდომა/დამუშავება და მისით სარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის;

5.1.3. გამოკითხვის/კონსულტაციის ჩატარების შემთხვევაში (ასეთის არსებობისას), მისი შედეგების გამჟღავნება მოხდება მხოლოდ შეჯამებული სახით, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა და აღნიშნული ინფორმაციის გამცემი მხარის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით;

5.1.4. ინფორმაციის გამცემი მხარის მოთხოვნისთანავე, ყველა მასალა, რომელიც შეიცავს, ან ასახავს ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას უნდა დაბრუნდეს ან განადგურდეს;

5.1.5. მესამე პირებთან ურთიერთობაში არც ერთი წინამდებარე პირობა მხარეთა მიერ არ უნდა იყოს აღქმული, ინტერპრეტირებული და გამოყენებული ერთმანეთის სახელით გამოსვლის უფლებად, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წარმომადგენლობით უფლებას და ერთმანეთის სახელით განცხადებების გაკეთების უფლებას;

5.1.6. ინფორმაციის დამუშავებისას მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;

5.1.7. მხარეები ვალდებულნი არიან, მიიღონ ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მხარეები უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების

სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინფორმაციის შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით;

5.1.8. წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბრალეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.

## 6. შესაბამისობის დეკლარაცია

მხარეები თანხმდებიან, რომ თანამშრომლობის პროცესში შეასრულონ ქვემოთ მოცემული მინიმალური სტანდარტები, რათა სოციალურ, ეკოლოგიურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები პროკრედიტ ჯგუფის მაღალ სტანდარტებს შეესაბამებოდეს, აქედან გამომდინარე ბანკი და კონტრაჰენტი თანხმდებიან შემდეგზე:

6.1 კონტრაჰენტი იღებს ვალდებულებას არ ჩაერთოს პროკრედიტ ჯგუფის გამონაკლისების სიით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობაში. კონტრაჰენტი ადასტურებს, რომ გაეცნო ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ "აკრძალულ სოციალურ და ეკოლოგიურ საქმიანობათა ჩამონათვალს", ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათ შესრულების ვალდებულებას;

6.2 კონტრაჰენტი ვალდებულია დაიცვას პროკრედიტ ჯგუფის ეთიკური ფასეულობები და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტუროს, რომ არ მონაწილეობს ნებისმიერი ფორმით ფულის გათეთრებაში. "ფულის გათეთრება" ნიშნავს:

(ა) ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში;

(ბ) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება მიღებულია დნაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად;

(გ) ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად; ან

(დ) ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისთვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და რჩევების მიცემა.

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარე ადასტურებს, რომ გაეცნო ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ "ქცევის კოდექსს", ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს შესრულების ვალდებულებას;

6.3 მხარეთა შეთანხმებით, მათთვის მიუღებელია მოსყიდვის ან კორუფციის პრაქტიკა, რაც გულისხმობს:

ა) მხარის მიერ ნებისმიერი ღირებული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით; ბ) ნებისმიერ ქმედებას ან გადაცდომას, მათ შორის ფაქტების დამახინჯებას, რამაც შეიძლება შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეიყვანოს მხარე, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით; გ) მხარისთვის, ან მხარის ქონებისთვის ზიანის მიყენებას, ან ვნების ან ზიანის მიყენების საფრთხის დადგომას პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მხარის ქმედებებზე არაჯეროვანი ან/და არათანაბარი ზემოქმედების მოხდენის მიზნით.

მხარე აცხადებს თანხმობას და ანიჭებს ბანკს უპირობო და გამოუთხოვად უფლებას იმის შესახებ, რომ ბანკს გააჩნდეს გონივრული ნდობის უფლება, ნებისმიერი მესამე პირისგან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციისგან, ფიზიკური და იურიდიული პირისგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დოკუმენტი, თანხმობა და ა.შ. რაც აუცილებელი იქნება წინამდებარე მოთხოვნების შესასრულებლად/დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მიზნებისთვის, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მხარისგან ნებისმიერი სახის/გონივრული ინფორმაცია, დოკუმენტი;

ამრიგად, საქმიანი ურთიერთობა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ან გაგრძელდეს, თუ ცნობილი გახდა რომ მხარე ჩართულია კორუფციაში ან/და თაღლითობაში.

6.4 სს "პროკრედიტ ბანკი" იცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (1948 წ.) და იგივეს მოითხოვს/მოუწოდებს თავის კონტრაჰენტს;

6.5 კონტრაჰენტი ვალდებულია უზრუნველყოს HSSE–სთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი კანონისა და წესის შესრულება.

6.6 მხარე ადასტურებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია და როგორც სათანადო გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, ის იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოში მოქმედ ეკოლოგიურ, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმას.

6.7 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან და ზედმიწევნით შეასრულონ ამ პუნქტებით განსაზღვრული სტანდარტები. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ბანკი ხელშეკრულებას დებს მხარის განცხადებებზე და გაცემულ გარანტიებზე (რომლებიც ითვლება გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილად) დაყრდნობით და იმ პირობით, რომ მხარე შეასრულებს ყველა სტანდარტს/პირობას ჯეროვნად. შესაბამისად, აღნიშნული განცხადებების, გარანტიებისა და ზოგადად, ამ პუნქტებით განსაზღვრული სტანდარტების სერიოზული ან/და მუდმივი დარღვევა, საკმარისი საფუძველია ბანკის მიერ მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომლობაზე ცალმხრივად და უაქცეპტო უარის სათქმელად.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთ ვალდებულებების შესრულებისგან ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორსმაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას;

7.2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობით აცნობოს ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში;

7.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე;

7.4. ფორსმაჟორული გარემოებების 3 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორსმაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

## 8. სხვა დებულებები

8.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ზოგადი პირობები და გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისათვის, რწმუნებულისათვის, დამხმარე-მომსახურე და მუშაკისთვის;

8.3. მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 კალენდარული დღით ადრე, მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს შეწყვეტის მომენტისათვის ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის, ქონების ან მიღებული მომსახურეობის ღირებულებას, ავანსად გადახდილი თანხის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

8.4. გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა ცვლილება და შეთანხმება ძალაში შედის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმით;

8.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;

8.6. მხრეთა შორის გაფომებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება სასამართლოს მიერ მოქმედი კანონმდებლოს საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ პუნქტის შესაბამისად;

8.7. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების ბათილობა ან გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას ან გაბათილებას;

8.8. თუ კონტრაქტორთან გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ის რომელიმე პირობა პირდაპირ ან ირიბად ეწინააღმდეგება წინამდებარე ზოგად პირობებს, უპირატესობა ენიჭება კონტრაქტორთან გაფორმებულ კონკრეტულ ხელშეკრულებებს.